



სააქციო საზოგადოება თელასი



წლიური ანგარიში 2013

სააქციო საზოგადოება „თელასი“

დამტკიცებულია:

სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების მიერ

“ _____ ” _____ 2014 წ.

ოქმი _____ “ ___ ” _____ 2014 წ.

წინასწარ დამტკიცებულია:

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

“ 30 ” _____ აპრილი _____ 2014წ.

ოქმი 119 “ 30 ” აპრილი 2014 წ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

_____ დ.ე.ვოლკოვი

წლიური ანგარიში 2013 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით

გენერალური დირექტორი

ს.ნ. კობცევი

ფინანსური დირექტორი

ა.ლ. ბალჩუგოვი

2014



შინაარსი

გვ.

| | |
|--|----|
| I. ძირითადი მოვლენები..... | 3 |
| II. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა..... | 5 |
| III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის შესახებ | 7 |
| IV. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები | 8 |
| V. ელექტრული ქსელების დახასიათება | 12 |
| VI. ტექნოლოგიური დარღვევები და ტექნიკური ზედამხედველობა | 13 |
| VII. სს „თელასის“ ელექტრულ ქსელზე ტექნოლოგიური მიერთებები 2012 – 2013 წლებში. | 14 |
| VIII. საქმიანობა რემონტების დარგში..... | 15 |
| IX. ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის დანაკარგები | 16 |
| X. ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ..... | 16 |
| XI. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები..... | 17 |
| XII. საინვესტიციო საქმიანობა | 22 |
| III. საქმიანობა შესყიდვების დარგში..... | 23 |
| XIV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა | 25 |
| V. ანგარიში გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ საზოგადოების აქციების მიხედვით..... | 27 |
| XVI. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა..... | 27 |
| XVII. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა..... | 28 |
| XVIII. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის 2013 წელს გადახდილი ანაზღაურების ოდენობა | 30 |
| XIX. საზოგადოების გენერალური დირექტორი..... | 31 |
| XX. საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემის დახასიათება..... | 32 |
| XXI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა..... | 33 |
| XXII. გარემოს დაცვა..... | 36 |
| XXIII. ცნობები გარიგებების შესახებ, რომელთა დადებაში არის დაინტერესება, და მსხვილი გარიგებების შესახებ, რომლებიც დადებულ იქნა საზოგადოების მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში | 37 |
| XXIV. ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ | 40 |
| XXV. ანგარიში საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების შესრულების შესახებ 2013 წელს | 41 |
| XXVI. დამატებითი ინფორმაცია აქციონერთათვის | 43 |
| დანართი 3. საზოგადოების 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად | |



I. ძირითადი მოვლენები

| | |
|-----------------------------|---|
| <p>31 დეკემბერი</p> | <p>განხორციელდა საზოგადოების ახალი გვერდის შემუშავება და გაშვება.</p> |
| <p>01 ნოემბერი</p> | <p>დაინერგა აბონენტების მრიცხველებიდან პლანშეტური კომპიუტერების საშუალებით მონაცემთა შეგროვების სისტემა, რამაც კომპანიას მისცა საშუალება მნიშვნელოვნად შეემცირებინა შრომითი დანახარჯები მონაცემთა გადასატანად ბილინგის სისტემაში.</p> |
| <p>28 მარტი</p> | <p>სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით საზოგადოების გენერალურ დირექტორად დაინიშნა ს.ნ. კობცევი.</p> |
| <p>28 მარტი</p> | <p>საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულ იქნა დ.ე. ვოლკოვი.</p> |
| <p>28 ივნისი</p> | <p>ჩატარდა საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრება, რომელზეც:</p> <ul style="list-style-type: none"> - დამტკიცდა წლიური ანგარიში, წლიური ფინანსური ანგარიშგება, საზოგადოების მოგების განაწილება 2012 წლის შედეგების მიხედვით; - მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების აქციების მიხედვით არ იქნას გადახდილი დივიდენდები 2012 წლის შედეგების მიხედვით, არ იქნეს განაწილებული მოგება 24 958 ათასი ლარის ოდენობით; - ორგანიზაციად, რომელიც 2013 წელს განახორციელებს სს „თელასის“ აუდიტს, დამტკიცდა EY Georgia LLC; - არჩეულ იქნა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა. |
| <p>26 სექტემბერი</p> | <p>საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით წინასწარ იქნა მოწონებული საზოგადოების სამტატო განრიგი და ორგანიზაციული სტრუქტურა.</p> |
| <p>25 ოქტომბერი</p> | <p>მიღებულ იქნა პასპორტი 2013-2014 წწ. შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მზადყოფნის შესახებ.</p> |
| <p>26 დეკემბერი</p> | <p>ჩატარდა საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, რომელზეც:</p> <ul style="list-style-type: none"> - დამტკიცდა საზოგადოების წესდების ახალი რედაქცია; - მიიღეს გადაწყვეტილება 2010 წლის გამოუყენებელი მოგება |



| | |
|--|---|
| | მიმართულ იქნას 2013-2018 წ.წ. საინვესტიციო საქმიანობაზე; -საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულ იქნა ვ.ს. ჯორბენაძე. |
| 01 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით | ჩატარდა საზოგადოების ორგანიზაციული-სამტატო სტრუქტურის ოპტიმიზაცია, რომლის შედეგადაც ამალდა საზოგადოების ბიზნეს-პროცესების მართვის ეფექტურობა. |
| 31 დეკემბერი | დასრულდა პროექტი „შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ ინსტიტუციონალური ვალების და სს „თელასის“ ჯგუფსშიდა დავალიანების რესტრუქტურირაცია“. |



II. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა

პატივცემულო აქციონერებო,

წარმოგიდგენთ რა სს „თელასის“ 2013 წლის წლიურ ანგარიშს, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების კოლექტივმა და მენეჯმენტმა შეასრულეს, შემოსავლების ზრდასა და მუშაობის ეფექტურობასთან დაკავშირებული, მათ წინაშე დასახული ამოცანები.

სააქციო საზოგადოება „თელასი“ - უმსხვილესი გამანაწილებელი კომპანიაა საქართველოში, რომლის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერჯის შესყიდვა და რეალიზაცია, ქსელური მომსახურების გაწევა. კომპანია ელექტროენერჯის შესყიდვის საქართველოს გენერაციის კომპანიებისაგან და ახორციელებს მის რეალიზაციას ქ. თბილისის 473 ათასზე მეტ კერძო და კომერციულ მომხმარებლებზე. 2013 წელს მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა 1.7%.

2013 წელს სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობაში პრიორიტეტულად რჩებოდა საზოგადოების ხელმძღვანელობის მუშაობის ეფექტურობასთან, ენერგოგასაღების საქმიანობის შემდგომ რეფორმირებასთან და ძირითადი ბიზნეს-პროცესების სტრატეგიის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, აგრეთვე იმ საკითხების, რომლებიც დაკავშირებულია მთლიანად საზოგადოების რეფორმირებასთან, მის ორგანიზაციულ განვითარებასთან.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა მიმართული იყო საზოგადოების განვითარების სტაბილურობის, მომგებიანობის უზრუნველყოფასა და საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებაზე; საზოგადოების აქციონერთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე; საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე საზოგადოების საქმიანობის პროცესში.

2013 წელს კომპანიის მენეჯმენტი განახლდა 80%.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ხორციელდებოდა ობიექტების საიმედოობის ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები. შესრულდა სხ-0,4კვ საჰაერო ხაზების რეკონსტრუქციის სამუშაოები. დამონტაჟდა 10 კმ სიგრძის იზოლირებული საჰაერო ხაზები, მრიცხველები გატანილ იქნა აბონენტების ტერიტორიიდან, 5 500 აბონენტისათვის ახალი იზოლირებული შემყვანების მოწყობით. სხ-0,4კვ საჰაერო ხაზების რეკონსტრუქციის პროექტით განხორციელდა მეზობლად მდებარე სატრანსფორმატორო ქვესადგურებს (სქ) შორის დატვირთვების ოპტიმალური გადანაწილება, ფაზების მიხედვით დატვირთვების თანაბარი გადანაწილება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა 2013-2014 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდის მიმდინარეობას. შედეგად, კომპანიის მიერ სრულად და დროულად იქნა განხორციელებული შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მზადებასთან დაკავშირებული

მართვის სისტემის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების პროცესში გადაიჭრა ახალი პროცედურების შემუშავების ამოცანები თითოეული ბიზნეს-პროცესის დეტალური ანალიზის, ელექტროენერჯის რეალიზაციასთან დაკავშირებული რიგი ბიზნეს-პროცესის კორექტირების, მათ შორის,



მომხმარებელთათვის მომსახურების გამწვევი ტერიტორიული ბიზნეს-ცენტრების საქმიანობის ოპტიმიზაციის საშუალებით. ჩატარდა სამუშაოები პერსონალის რიცხოვნობის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე.

ენერგოგასაღების საქმიანობის ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციასთან, აგრეთვე მომხმარებელთა მომსახურების ამაღლებასთან დაკავშირებით შესრულებული ზემოაღნიშნული სამუშაოების გათვალისწინებით, აბონენტთა მომსახურების ცენტრების საერთო რაოდენობა შემცირდა 10 ბიზნეს-ცენტრამდე და 2 ფილიალამდე.

2014 წელს კომპანიას მოუწევს დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული მუშაობის გაძლიერება, გასაწვევი კომერციული მომსახურების ჩამონათვალის გაფართოვება, ახალი ტექნოლოგიების და მომხმარებლების მომსახურების სახეობების დანერგვასთან დაკავშირებული მუშაობის გაგრძელება.

ვიმედოვნებთ, რომ სს „თელასის“ მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი 2014 წელსაც წარმატებით დაძლევეს დასახულ ამოცანებს, შეინარჩუნებს და გააძლიერებს საზოგადოების პოზიციებს ქ. თბილისის ბაზარზე.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
დიმიტრი ევგენის ძე ვოლკოვი

სს „თელასის“ გენერალური დირექტორი
სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი



III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის შესახებ

2013 წელს სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შედეგების შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 24 სხდომა, სადაც განიხილეს 102 საკითხი, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების მოღვაწეობაზე საანგარიშო წელს, იყო შემდეგი:

1. გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებული იყო სს „თელასს“ და შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ შორის მოთხოვნების ურთიერთჩათვლის გზით ვალდებულებების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მოწონებასთან, იმ გარიგების სახით, რომლის განხორციელებაში არსებობს დაინტერესება.

2. გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებული იყო აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადებასა და ჩატარებასთან;

3. საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი გადაწყვეტილებები (საზოგადოების 2014 წლის ბიზნეს-გეგმის, საინვესტიციო პროგრამის და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება.

სამეთვალყურეო საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებს აქციონერთა უფლებების უზრუნველყოფაში, საზოგადოების განვითარების სტრატეგიის ფორმირებასა და რეალიზაციაში, აგრეთვე მისი წარმატებული ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფაში.

საანგარიშო წელს სამეთვალყურეო საბჭოს მთელი მუშაობა ორგანიზებული იყო დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად, მიმდინარეობდა გადაწყვეტილებების შესრულების რეგულარული კონტროლი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეუსრულებელი გადაწყვეტილებები არ არის.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მუშაობის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ისინი თავისი უფლებების განხორციელების და მოვალეობების შესრულების დროს მოქმედებდნენ საზოგადოების ინტერესების დაცვით, კეთილსინდისიერად იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას ყველა სხდომაში.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესებასთან, კომპანიის მომგებიანობის ამაღლებასთან, აგრეთვე მომსახურების ძირითად ბაზრებზე მდგრად, საიმედო და კონკურენტუნარიან პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.



IV. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები

სს „თელასი“ ქ. თბილისში უმსხვილესი ელექტროქსელური და გასადების ორგანიზაციაა. სს „თელასი“ ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) ყიდულობს ელექტროენერგის (სიმძლავრის) საბითუმო და საცალო ბაზრებზე ქ. თბილისის და მიმდებარე სოფლების მომხმარებელთა მომსახურების მიზნით.

საქმიანობის ძირითადი სახეობებია: ელექტროენერგის ყიდვა-გაყიდვა; ელექტრული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია; ელექტროენერგის ტრანზიტთან დაკავშირებული მომსახურება; აბონენტთა ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული მომსახურება; ქ. თბილისში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირება.

მომხმარებელთა მომსახურება და ელექტრული ქსელების ექსპლუატაცია ხორციელდება აბონენტთა მომსახურების 10 ცენტრში და 10 საექსპლუატაციო რაიონში, რომლებიც განთავსებულია ქალაქის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში.

ძირითადი ფაქტორების სახით, რომლებიც ზეგავლენას ახდენს, როგორც დარგის მდგომარეობაზე ზოგადად, ისე საზოგადოების საქმიანობაზე, შეიძლება მითითებულ იქნას:

- ქვეყანაში ელექტროენერგის საერთო მოხმარების ზრდა;
- ინფლაციური პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებასთან უცხოური ვალუტის მიმართ;
- მოსახლეობის და მომხმარებელი საწარმოების გადახდისუნარიანობის ამაღლება.

2013 წელს დარგის განვითარების საერთო ტენდენციები შეფასდა, როგორც ზომიერად ოპტიმისტური, რაც დაკავშირებულია შემდეგ მოვლენებთან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო წლის განმავლობაში და მწშივნილოვანი ზემოქმედება მოახდინა დარგზე:

- მსოფლიო ეკონომიკის ნაწილობრივი გამოსვლა გლობალური ეკონომიკური კრიზისიდან;
- საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება.

საზოგადოების განვითარების ტენდენციები გაცილებით უკეთესად გამოიყურება საერთო დარგობრივ ტენდენციებთან შედარებით.

ძირითადი ნეგატიური ფაქტორები, რომლებსაც უახლოეს წლებში, სავარაუდოდ, შეიძლება ნეგატიურად აისახოს საზოგადოების განვითარების ტემპზე, შეიძლება იყოს შემდეგი:

- ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის მორიგი გამწვავების დაწყება;
- ადგილობრივი ვალუტის არასტაბილური კურსი სარეზერვო ვალუტების მიმართ;
- არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა;
- დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში ხშირი ცვლილებები.



ელექტროენერჯის გაყიდვები

2013 წელს ელექტროენერჯის გაყიდვების საერთო მოცულობამ შეადგინა 242 502 ათასი ლარი, რაც 3 039 ათასი ლარით ნაკლებია საზოგადოების 2013 წლის ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებულზე.

(ათასი ლარი)

| 1 | დასახელება | 2012 წელი | 2013 წელი | | | |
|-----------------------|---|----------------|----------------|----------------|----------------|------------|
| | | | გეგმა | ფაქტი | გადახრა | |
| | | | | | (+/-) | % |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | |
| 1 | მოსახლეობასა და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე რეალიზაცია შიდა ბაზარზე. | 115 140 | 124 442 | 108 055 | (16 387) | (13) |
| 2 | რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე | 17 776 | 17 359 | 17 707 | 348 | 2 |
| 3 | რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე | 105 635 | 98 926 | 112 680 | 13 754 | 14 |
| 4 | სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე | 4 878 | 4 813 | 4 060 | (753) | (16) |
| სულ, გაყიდვები | | 243 429 | 245 541 | 242 502 | (3 039) | (1) |

საზოგადოების მიერ 2013 წლის შედეგების მიხედვით მიღებული ამონაგების შემცირება გამოწვეულია მოსახლეობისათვის, რომელიც თვეში მოიხმარს 100 კვტ*სთ ელექტროენერჯის, სამომხმარებლო ტარიფების 3,39 თეთრით (დღგ-ს გარეშე), ხოლო მოსახლეობისთვის, რომელიც თვეში მოიხმარს 101-დან 300 კვტ*სთ ელექტროენერჯის - 3,00 თეთრით (დღგ-ს გარეშე) შემცირებით, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 2012 წლის 27 დეკემბრის 23 გადაწყვეტილების შესაბამისად. დადგენილი ტარიფები მოქმედებს 31.12.2016 წ-მდე.

ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურა


2013 წელს მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის საერთო სასარგებლო გაშვებამ შეადგინა 1 907 მლნ კვტ*სთ. ქვემოთ მოცემულია 2012-2013 წლებში ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურა აბონენტთა კატეგორიების მიხედვით.

(მლნ.კვტ*სთ.)

| 1 | დასახელება | 2012 წელი | 2013 წელი | | | |
|---|---|-----------|-----------|-------|---------|-----|
| | | | გეგმა | ფაქტი | გადახრა | |
| | | | | | (+/-) | % |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | |
| 1 | რეალიზაცია მოსახლეობასა და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე. | 837 | 893 | 880 | (13) | (1) |
| 2 | რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე | 145 | 134 | 138 | 4 | 3 |
| 3 | რეალიზაცია კომერციულ | 801 | 756 | 855 | 99 | 13 |



| | | | | | | |
|---|-------------------------------------|--------------|--------------|--------------|-----------|----------|
| | მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე | | | | | |
| 4 | სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე | 37 | 36 | 35 | (1) | (3) |
| | სულ გაყიდვები შიდა ბაზარზე | 1 819 | 1 819 | 1 907 | 88 | 5 |
| 5 | ელექტროენერჯის რეალიზაცია ექსპორტზე | - | - | - | - | - |
| | სულ, გაყიდვები | 1 819 | 1 819 | 1 907 | 88 | 5 |



- რეალიზაცია მოსახლეობასა და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე.
- რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე
- რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე
- სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე

იმ ფაქტორების სახით, რომლებიც ზეგავლენას ახდენს, ზოგადად, როგორც დარგის მდგომარეობაზე, ისე საზოგადოების საქმიანობაზე, შეიძლება აღინიშნოს:

- სახელმწიფოს როლის გაძლიერება ელექტროენერჯის ბაზრის რეგულირებაში, მათ შორის, ტარიფების ზრდის ტემპის შეზღუდვა;
- მოსახლეობისთვის ტარიფების შემცირება, რამაც გამოიწვია გასაღების კომპანიების ამონაგების მოცულობის შემცირება. 2012 წლის 27 დეკემბერს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) გამოაქვეყნა 23 გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ელექტროენერჯის რეალიზაციის ტარიფები 2013 წლის პირველ კვარტალში დროებით შემცირდა. სემეკ-ის 2013 წლის 3 აპრილის 3 ბრძანებით შემცირებული ტარიფების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2013 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე.
- საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში საკმარისად ნათლად არ არის გაწერილი იმ მიწაზე საკუთრების უფლების საკითხები, რომელზეც განთავსებულია მოწყობილობები ელექტროენერჯის გადასაცემად. მომავალში საკანონმდებლო ნორმების დაზუსტების შემთხვევაში, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ კომპანიას მოუწევს შეიძინოს საკუთრების უფლება გარკვეულ მიწის ნაკვეთებზე ან გადაუხადოს მესამე მხარეს ამ მიწის ნაკვეთების იჯარა.

სს „თელასის“ განვითარების პერსპექტივები დაკავშირებულია ქ. თბილისის ყველა რაიონისათვის ელექტროენერჯის გარანტირებულ და უწყვეტ მიწოდებასთან, მიმწოდებელი გარანტორის სახით.

საზოგადოების ძირითადი მიზანია დანაკარგების გარეშე საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგებისა და მდგრადი ფულადი ნაკადის მიღება. დარგში



საკუთარი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სს „თელასის“ მიმართავს შემდეგ ზომებს:

- ელექტროენერგეტიკის ბაზარზე სიტუაციის პროგნოზირება;
- პერსონალის მომზადება, საანგარიშო მეთოდის და მიდგომების სრულყოფა, საქმისწარმოების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- თანმდევი მომსახურების ჩამონათვალის გაფართოება და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციული გახსნილობა, ინვესტორთა ინფორმირება ცვლილებების შესახებ კომპანიის საქმიანობის გარე პირობებში;
- ფინანსური კონტროლის გაძლიერება და დანახარჯების შესამცირებლად პროგრამების დანერგვა;
- სამუშაოების და მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნა.

ზომების მოცემული კომპლექსის განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს შევინარჩუნოთ სს „თელასის“ ლიდერობა გასაღების ბაზარზე და გავაუმჯობესოთ ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ძირითადი სავარაუდო ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება უახლოეს წლებში ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოების განვითარების ტემპზე შემდეგია:

- მომგებიანობის შემცირება;
- მომხმარებელთა ფინანსური მდგომარეობის გაუარესება და შედეგად - გადახდისუნარიანობის გაუარესება.

იმ ზომების სახით, რომლებიც ხელს შეუწყობს რისკების შემცირებას აღნიშნული ნეგატიური ფაქტორების წარმოქმნის შემთხვევაში, სს „თელასის“ მართვის ორგანოები აპირებენ შემდეგი ზომების გამოყენებას:

- საკუთარი საქმიანობის დეტალური დაგეგმვა;
- გეგმიური მუშაობა კლიენტების გადახდისუნარიანობის საკონტროლოდ;
- მომხმარებელთათვის რეკომენდაციები დანახარჯების შესამცირებლად ელექტრული ენერჯის მოხმარების ეფექტურობის ამაღლების ხარჯზე (ელექტრული ენერჯის მოხმარების სპეციფიკის გათვალისწინებით);
- ენერგოდამზოგავი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის შესაბამისი მასალების (მოწყობილობების) გამოყენების ეკონომიკური ანალიზის გათვალისწინებით.

დარგში საზოგადოების მდგომარეობაზე ასევე მოქმედებს კონკურენტუნარიანი გარემოს განვითარება. სს „თელასის“ ძირითადი კონკურენტი ქ. თბილისის ტერიტორიაზე არის ქართულ-ჩეხური კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“ („Energo Pro“-ს, ჩეხეთი, შვილობილი კომპანია).

ფაქტორების სახით, რომლებიც გასაღების ბაზარზე (პროდუქციის, მომსახურების) ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ კონკურენტუნარიანობაზე, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- მომხმარებელთა მომსახურების ტერიტორიული, ორგანიზაციული და ინფორმაციული ხელმისაწვდომობის მაღალი ხარისხი;
- კომპანიის სახელი, მისი ავორიტეტი ელექტროენერჯის ბაზარზე;
- ელექტრული ენერჯის მოხმარების აღრიცხვის მაღალორგანიზებული სტრუქტურა.

მომავალში საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საზოგადოებას დაგეგმილი აქვს შემდეგი მოქმედებების განხორციელება:



- მსხვილ საწარმოებთან მუშაობის სტრატეგიული დაგეგმვა;
- მომხმარებლებთან ურთიერთქმედების ფორმების სრულყოფა;
- მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის ამაღლება;
- ენერგოსერვისული მომსახურების ჩამონათვალის გაფართოება.

V. ელექტრული ქსელების დახასიათება

| | დასახელება | განზომილების ერთეული | მაჩვენებლები |
|------------|--|----------------------|---------------|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ეგზ საერთო სიგრძე, სულ | კმ | 4346.8 |
| | მათ შორის: | | |
| 1.1 | საჰაერო ეგზ (ჯაჭვების მიხედვით), სულ | კმ | 1897.4 |
| | მათ შორის: | | |
| 1.1.1 | - ძაბვის დონე 110 კვ | კმ | 247 |
| 1.1.2 | - ძაბვის დონე 35 კვ | კმ | 89.5 |
| 1.1.3 | - ძაბვის დონე 10 კვ | კმ | 126 |
| 1.1.4 | - ძაბვის დონე 6 კვ | კმ | 191 |
| 1.1.5 | - ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები | კმ | 1243.9 |
| 1.2 | საკაბელო ეგზ, სულ | კმ | 2449.4 |
| | მათ შორის: | | |
| 1.2.1 | - ძაბვის დონე 35 კვ | კმ | 41.1 |
| 1.2.2 | - ძაბვის დონე 10 კვ | კმ | 278.9 |
| 1.2.3 | - ძაბვის დონე 6 კვ | კმ | 1114.5 |
| 1.2.4 | - ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები | კმ | 1014.9* |
| 2 | დამადაბლებელი ქვესადგურები 35 კვ და უფრო მაღალი | | |
| 2.1 | ქვესადგურების რაოდენობა, სულ | ცალი | 35 |
| | მათ შორის: | | |
| 2.1.1 | დამადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ | ცალი | 12 |
| 2.1.2 | დამადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ | ცალი | 23 |
| 2.2 | საერთო დადგმული სიმძლავრე | მგვტა | 1669.3 |
| | მათ შორის: | | |
| 2.2.1 | დამადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ | მგვტა | 326.3 |
| 2.2.2 | დამადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ | მგვტა | 1343 |
| 3 | სატრანსფორმატორო ქვესადგურები 10/6/0,4 კვ | | |
| 3.1 | ქვესადგურების რაოდენობა | ცალი | 1765 |
| 3.2 | საერთო დადგმული სიმძლავრე | მგვტა | 1153.4 |
| | მათ შორის: | | |
| 3.2.1. | კომპლექტური | ცალი | 250 |
| | | მგვტა | 142 |
| 3.2.2. | დახურული | ცალი | 1515 |
| | | მგვტა | 1011.4 |




VI. ტექნოლოგიური დარღვევები და ტექნიკური ზედამხედველობა

ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები

სულ 2013 წელს სს „თელასის“ ელექტრულ ქსელებში ადგილი ჰქონდა 4 428 ტექნოლოგიურ ინციდენტს, რაც 2012 წელთან (5 526 შემთხვევა) შედარებით 20% ნაკლებია. ავარიები მითითებულ პერიოდში არ მომხდარა. 2013 წელს ელექტროენერჯის არასაკმარისმა გაშვებამ შეადგინა 1 678.2 ათასი კვტ*სთ, რაც 64 % ნაკლებია გასულ წელთან შედარებით. 2013 წელს ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა 117.5 ათასი ლარი, რაც 76% ნაკლებია 2012 წელთან შედარებით. ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია ცნობები სს „თელასის“ ელექტროქსელებში ინციდენტების, ავარიების და ტექნოლოგიური დარღვევების შესახებ 2012 – 2013 წლებში.

| | მაჩვენებლის დასახელება | 2012 წელი | 2013 წელი | | |
|---|---|-----------|-----------|---------------|------|
| | | | ფაქტი | გადახრა (+/-) | % |
| 1 | ინციდენტები | 5526 | 4 428 | (1 098) | (20) |
| 2 | ავარიები | - | - | - | - |
| 3 | ელექტროენერჯის არასაკმარის გაშვება (ათასი კვტსთ.) | 4636 | 1 678.2 | (2 957.8) | (64) |
| 4 | ეკონომიკური ზარალი (ათასი ლარი) | 486 | 117.5 | (368.5) | (76) |

ტექნოლოგიური დარღვევების დიაგრამა 2012 – 2013 წ.წ



ტექნიკური ზედამხედველობა

2013 წელს საზოგადოების ტექნიკური ზედამხედველობის და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილებამ განახორციელა ორგანიზაციული-ტექნიკური, საინფორმაციო-მეთოდური, საზედამხედველო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი ძაბვის ყველა კლასის ელექტრული ქსელების ობიექტებზე, რომლებიც მიმართული იყო ხანძრების, ავარიების და სხვა



ტექნოლოგიური დარღვევების აღკვეთაზე, მოწყობილობების მუშაობის საექსპლუატაციო საიმედოობის და პერსონალის ამაღლებაზე, ავარიულობის და ტრავმატიზმის შემცირებაზე. ელექტროქსელური ობიექტების ჩატარებული შემოწმებების ჯამური მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

| | ცნობები შემოწმებების შესახებ | 2012 წელი | 2013 წელი |
|-----|--|-----------|-----------|
| 1 | ობიექტების შემოწმებათა საერთო რიცხვი | 1392 | 1 425 |
| 2 | მიწერილობათა რაოდენობა | 398 | 344 |
| 3 | მიწერილობებში ღონისძიებათა რაოდენობა | 412 | 671 |
| | მათ შორის: | | |
| 3.1 | შესრულებული | 376 | 589 |
| 3.2 | ღონისძიებები, რომელთა ვადა გადატანილია | 36 | 82 |

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების ქვედანაყოფებში მიმდინარეობდა პერსონალის მიერ შრომის დაცვისა და სამრეწველო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის საყოველთაო შემოწმებები. შემოწმების შედეგების მიხედვით ხორციელდებოდა ანალიზი, ტრავმასახიფათო სიტუაციების და ფაქტორების გამოვლენა, მათი აღკვეთის ღონისძიებების შემუშავება.


VII. ტექნოლოგიური მიერთებები სს „თელასის“ ელექტრულ ქსელზე 2012 – 2013წ.წ.

2012-2013 წლებში განხორციელდა ელექტრულ ქსელთან მომხმარებელთა 5436 ტექნოლოგიური მიერთება, საერთო ჯამური სიმძლავრით 104.8 ათასი კვტ. მათ შორის, 5 402 მიერთება საერთო ჯამური სიმძლავრით 81.46 ათასი კვტ 0,4 კვ ძაბვაზე (78% მიერთებების საერთო სიმძლავრის) და 34 მიერთება საერთო ჯამური სიმძლავრით 23.34 ათასი კვტ 6/10 კვ ძაბვაზე (22% მიერთებების საერთო სიმძლავრის).

| | მიერთების ძაბვა | სრულ მიერთებათა რ-ბა ხელშეკრულებების და ტპ-ის მიხედვით, ც | | მიერთებათა ფაქტობრივი სიმძლავრე, ათასი.კვტ | |
|---|-----------------|---|--------------|--|-------------|
| | | 2012 წელი | 2013 წელი | 2012 წელი | 2013 წელი |
| 1 | 6 -10 კვ | 20 | 14 | 14 | 9.34 |
| 2 | 0,4 კვ | 2402 | 3 000 | 36 | 45.46 |
| | სულ | 2422 | 3 014 | 50 | 54.8 |



ტექნოლოგიურ მიერთებათა დიაგრამა 2012 – 2013 წ.წ




ფაქტობრივმა შემოსავლებმა ახალ აბონენტთა მიერთებებიდან 2013 წელს შეადგინა 5 543.90 ათასი ლარი, დაგეგმილ 3 176.61 ათას ლართან შედარებით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქსელზე 12 922 ახალი აბონენტის მიერთება (ლტოლვილთა აბონირების გათვალისწინების გარეშე). გეგმით გათვალისწინებული იყო 9 000 აბონენტის აბონირება.

VIII. საქმიანობა რემონტების დარგში

ელექტროქსელური მეურნეობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი ხორციელდება საზოგადოების საკუთარი ძალებით, ასევე მოზიდული კონტრაგენტების საშუალებით.


2013 წელს ფაქტობრივმა ხარჯებმა ელექტრული ქსელების რემონტზე შეადგინა 1 949 ათასი ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 1 141 ათასი ლარით ნაკლებია. ხარჯების შემცირება განპირობებულია შესასყიდ მასალებზე ფასების შემცირებით დაგეგმილ ფასებთან შედარებით. ქვემოთ წარმოდგენილია შესრულებულ სამუშაოთა სტრუქტურა.





IX. ელექტროენერჯის დანაკარგები ელექტრულ ქსელებში

2013 წელს საზოგადოების მიერ შესყიდულ იქნა 2 104 მლნ კვტ*სთ ელექტროენერჯია. დანაკარგებმა გადაცემის დროს მაღალი ძაბვის ქსელებში შეადგინა 41 მლნ კვტ*სთ. ქსელში გაშვებამ შეადგინა 2 063 მლნ კვტ*სთ. მომხმარებლებისათვის ქსელში სასარგებლო გაშვებამ შეადგინა 1 907 მლნ კვტ*სთ. სს „თელასის“ ქსელში ჯამურმა დანაკარგებმა შეადგინა 155 მლნ კვტ*სთ, რაც 49 მლნ კვტ*სთ ნაკლებია 2012 წელთან შედარებით. 2013 წელს ელექტროენერჯის დანაკარგების მნიშვნელობამ ქსელში გაშვების მიმართ შეადგინა 7.5%.



ელექტროენერჯის დანაკარგების შესამცირებლად გრძელდება საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებების შესრულება, მათ შორის, ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის აღრიცხვის სისტემის სრულყოფა (აღრიცხვის კვანძების გატანა მომხმარებლის ტერიტორიიდან). საჭაერო ხაზების სხ-0,4 კვ რეკონსტრუქციის პროექტით განხორციელდა დატვირთვების ოპტიმალური გადანაწილება მეზობელ სატრანსფორმატორო ქვესადგურებს შორის, ფაზების მიხედვით დატვირთვების თანაბარი განაწილება.



X. ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2013 წელს სს „თელასის“ მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი სახეობის ენერგეტიკული რესურსები:

| | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ღირებულება (ათასი ლარი) |
|-----|---------------------|-------------------------|-----------|-------------------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ელექტროენერგია, სულ | ათასი.კვტსთ. | 2 244 | 250 570 |
| | მათ შორის: | | | |
| 1.1 | - გასაყიდად | ათასი.კვტსთ. | 1 907 | 242502 |
| 1.2 | - ტრანზიტისთვის | ათასი.კვტსთ. | 337 | 8 068 |
| | სულ | - | - | 250 570 |



XI. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

საზოგადოების ძირითადი საწარმოო და ფინანსური მაჩვენებლების (ფასს-ის შესაბამისად) დახასიათება შესაძლებელია შემდეგი სახით:

| მაჩვენებლები | 2012 წელი | 2013 წელი | % ცვლილებები |
|--|---------------|-----------------|--------------|
| 1. საწარმოო მაჩვენებლები: | | | |
| ნაყიდი ელექტროენერგია, მლნ.კვტ*სთ | 2 059 | 2 104 | 2,2 |
| - დანაკარგები გადაცემის დროს, მლნ.კვტ*სთ | 37 | 41 | 10,8 |
| მიღებულია (გაშვებულია) ქსელში, მლნ.კვტ*სთ | 2 022 | 2 063 | 2,0 |
| - ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგები, მლნ.კვტ*სთ | 204 | 155 | (24) |
| ელექტროენერგიის სასარგებლო გაშვება, მლნ.კვტ*სთ | 1 819 | 1 907 | 4,8 |
| 2. ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები | | | |
| ამონაგები | 251 641 | 250 570 | (0.4) |
| სხვა შემოსავლები | 8 840 | 11 183 | 27 |
| შესყიდული ელექტროენერგია | (129 762) | (126 959) | (2) |
| შრომის ანაზღაურება და სხვა გადახდები მუშაკებისათვის | (52 238) | (51 579) | (1) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (11 835) | (9 542) | (19) |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა | (2 107) | (1 541) | (27) |
| ფორმირებული და სტორნირებული რეზერვები, ნეტო | (812) | 5 795 | 814 |
| ხარჯები გაუფასურების შედეგად | - | (64 270) | - |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (21 884) | (47 216) | 116 |
| საოპერაციო (ზარალი) მოგება | 41 843 | (33 559) | (180) |
| ფინანსური შემოსავლები | 3 046 | 3 194 | 5 |
| ფინანსური ხარჯები | (8 974) | (1 781) | (80) |
| (ზარალი) მოგება კურსებს შორის სხვაობის შედეგად | 1 226 | (1 633) | (233) |
| (ზარალი) მოგება დაბეგვრამდე | 37 141 | (33 779) | (191) |
| მოგების გადასახადის ხარჯები | (12 183) | (4 104) | (66) |
| (ზარალი) მოგება წლის განმავლობაში | 24 958 | (37 883) | (252) |
| სხვა ერთობლივი შემოსავლები წლის განმავლობაში | - | - | - |
| სულ ერთობლივი (ზარალი) შემოსავალი წლის განმავლობაში | 24 958 | (37 883) | (252) |
| აქციაზე საბაზო (ზარალი) მოგება | 0.00026 | (0.00034) | (31) |

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სახეობაა ელექტროენერგიის შესყიდვა და განაწილება კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მომხმარებლებზე თბილისში (საქართველო). კომპანიის საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებამ შიდა ბაზარზე შეისყიდა 2 104 მლნ კვტ*სთ ელექტროენერგია (გეგმა 2116 მლნ კვტ*სთ).



ამონაგებმა 2013 წელს შეადგინა 250 570 ათასი ლარი, რაც 1 071 ათასი ლარით ნაკლებია 2012 წელთან შედარებით.

ამონაგების შემცირებაზე ზეგავლენა მოახდინა 2012-2013 წლებში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ კომუნალური სექტორისათვის, მოხმარების მოცულობით არა ნაკლებ 100 კვტ*სთ და ძაბვაზე 220/380 ვოლტი, ელექტროენერჯის სარეალიზაციო ტარიფების შემცირებამ.

ელექტროენერჯის შესყიდვისა და განაწილების გარდა საზოგადოება უზრუნველყოფს ელექტროენერჯის სატრანზიტო მომსახურებას. ელექტროენერჯის ტრანზიტით მიღებული ამონაგები წარმოადგენს მოსაკრებელს, რომელსაც კომპანია იღებს მოხმარებელთა მიერ უშუალოდ მიმწოდებლებისგან შესყიდული ელექტროენერჯის გადაცემისათვის კომპანიის ქსელის საშუალებით. 2013 და 2012 წლებში სემეკ-ის მიერ კომპანიისათვის დამტკიცებული ტარიფი ტრანზიტზე შეადგენდა 0,0241ლარი/მვტ*სთ.

2013 წელს საოპერაციო მოგება (ზარალი) 75 402 ათასი ლარით ნაკლები იყო, ვიდრე 2012 წელს. მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე 2013 წელს 70 920 ათასი ლარით ნაკლები იყო, 2012 წელთან შედარებით. ერთობლივმა შემოსავალმა (ზარალმა) შეადგინა (37 883) ათასი ლარი, რაც 62 841 ათასი ლარით ნაკლებია 2012 წელთან შედარებით.

წმინდა ზარალმა 2013 წელს შეადგინა 37 883 ათასი ლარი, გეგმიურ მოგებასთან 54 045 ათასი ლარი შედარებით.

ზარალი 2013 წელს ძირითადად განპირობებული იყო იმ ფაქტორების ზეგავლენით, რომლებზეც კომპანიის ხელმძღვანელობა ვერ მოახდენდა ზემოქმედებას, კერძოდ:

- „ელექტროენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის განვითარების და ადრე მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზაციის შესახებ“ 2013 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობასა და ლსს „ინტერ რაო“-ს შორის დადებული მემორანდუმით გათვალისწინებული შეთანხმებების შესასრულებლად, სს „თელასსა“ და საქართველოს შემოსავლებს შორის საგადასახადო შეთანხმების შესაბამისად ა43-21, 2013 წლის 08 მაისი, საზოგადოებამ განახორციელა 27 115 ათასი ლარის დეკლარირება და გადახდა საანგარიშსწორებო პერიოდისათვის 2007 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრის ჩათვლით;

- ახალი ჰეს-ის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებასთან (ტედ) დაკავშირებით კომპანია „პეურუს“ მიერ გაწეულმა საკონსულტაციო მომსახურებამ 2013 წელს შეადგინა 3 499 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯები უნდა შესულიყო კაპიტალურ ხარჯებში, მაგრამ პროექტზე უარი ითქვა ეკონომიკური მიზანშეუწონლობის გამო და, შესაბამისად, ტედ-ის ხარჯები აღიარებულ იქნა მიმდინარედ, რამაც შეამცირა საანგარიშო წლის მოგება.

- ძირითადი საშუალებების გადაფასებით მიღებულმა ზარალმა შეადგინა 64 270 ათასი ლარი. ძირითადი საშუალებების გაუფასურება განპირობებულია მათი სამართლიანი ღირებულების შემცირებით საბალანსო ღირებულებასთან შედარებით 2013 წლის 1-ელ ნახევარში. სამართლიანი ღირებულების შემცირება გამოწვეულია ძირითადი საშუალებების გამოყენების შედეგად საპროგნოზო შემოსავლების შემცირებით, ელექტროენერჯის გაყიდვაზე ტარიფების შემცირების გამო. 2013 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობასა და ლსს „ინტერ რაო“-ს შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს „ელექტროენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის განვითარების და ადრე მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზაციის შესახებ“, რომლის შესაბამისადაც



სამომხმარებლო ტარიფი შემცირდა მოსახლეობისთვის, რომელიც თვეში მოიხმარს 100 კვტ*სთ ჩათვლით ელექტროენერგიას, 3,39 თეთრით კვტ.სთ (დღგ-ს გარეშე), აგრეთვე მოსახლეობისთვის, რომელიც თვეში მოიხმარს 101-დან 300 კვტ*სთ-მდე ელექტროენერგიას - 3,00 თეთრით კვტსთ (დღგ-ს გარეშე).

| მაჩვენებლები | 2012 წელი | 2013 წელი | % ცვლილებები |
|--|----------------|----------------|--------------|
| აქტივები | | | |
| არასაბრუნავი აქტივები | 197 259 | 139 751 | (29) |
| საბრუნავი აქტივები | 90 236 | 88 863 | (2) |
| სულ, აქტივები | 287 495 | 228 614 | (20) |
| კაპიტალი და ვალდებულებები | | | |
| კაპიტალი | 124 552 | 86 669 | (30) |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | |
| პროცენტუანი კრედიტები, სესხები და თამასუქები | 38 882 | 33 057 | (15) |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | 8 898 | 3 084 | (65) |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები | 47 780 | 36 141 | (24) |
| მიმდინარე ვალდებულებები | | | |
| პროცენტუანი კრედიტები, სესხები და თამასუქები | 7 651 | 5 801 | (24) |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 87 790 | 74 140 | (16) |
| მიღებული ავანსები | 6 579 | 10 680 | 62 |
| დავალიანება სხვა გადასახადების მიხედვით | 11 807 | 12 423 | 5 |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | 1 336 | 2 760 | 107 |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები | 115 163 | 105 804 | (8) |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები | 287 495 | 228 614 | (20) |

არასაბრუნავი აქტივები შემცირდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. ძირითადი საშუალებების გაუფასურება 64 270 ათასი ლარის ოდენობით აისახა ბუღალტრულ აღრიცხვაში 2013 წლის 6 თვისათვის, ლსს „ინტერ რაო“-ს წერილის / /706, 06.09.2013 წ. საფუძველზე.
2. გრძელვადიანი გაცემული სესხების შემცირება 6 956 ათასი ლარით, შპს „მტკვარი ენერჯეტიკასთან“ გაცემული სესხების და კრედიტორული დავალიანების ურთიერთჩათვლის შედეგად, 2013 წლის 27 დეკემბრის ურთიერთჩათვლის შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

საზოგადოების საბრუნავი აქტივები შემცირდა 2013 წლის ბოლოსთვის ფულადი სახსრების ნაშთის შემცირების გამო, 2012 წელთან შედარებით.

კრედიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული ვალდებულება შემცირდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. დაკავშირებული კომპანიებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანების შემცირება, კერძოდ, დავალიანების შემცირება კომპანია შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ მიმართ 18 185 ათასი ლარი, სს „ხრამჭესი-1“-ის მიმართ - 821 ათასი



ლარით, სს „ხრამჭესი-2“-ის მიმართ - 1 473 ათასი ლარით და შპს „TGR ენერჯის“ მიმართ - 439 ათასი ლარით.

2. კრედიტორული დავალიანების შემცირება ელექტროენერჯის მომწოდებლების მიმართ, დავალიანების შემცირება კომპანია "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიმართ 6 672 ათასი ლარით, ესკო-ს მიმართ - 1 173 ათასი ლარით, შპს „საქრუსენერგოს“ მიმართ - 362 ათასი ლარით, შპს "ენგურჰესის" მიმართ - 93 ათასი ლარით და შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ მიმართ - 77 ათასი ლარით.

3. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დარიცხულია პირობითი ვალდებულება ელექტროენერჯის შესყიდვებთან, დისპეტჩერიზაციასა და ტრანზიტთან დაკავშირებით 17, 679 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობდა.

კრედიტები და სესხები შემცირდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების გამო:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული კრედიტის ვადამდელი დაფარვა, 4 154 ათასი ლარის ოდენობით.
2. ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის მიერ გაცემული კრედიტის შემცირება, 3 465 ათასი ლარის ოდენობით.
3. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გაცემული თამასუქის თანხის შემცირება, 56 ათასი ლარის ოდენობით.

საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

2013 წლის ბოლოსთვის სს „თელასის“ ერთობლივი აქტივების ღირებულებამ შეადგინა 228 614 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში აქტივების სიდიდე საანგარიშო წლის განმავლობაში შემცირდა 58 881 ათასი ლარით. 2013 წ. ბოლოსთვის არასაბრუნავი აქტივების წილი შემცირდა 57 508 ათასი ლარის ოდენობით და შეადგინა 139 751 ათასი ლარი, საბრუნავი აქტივების წილი შემცირდა 1 373 ათასი ლარით და შეადგინა 88 863 ათასი ლარი.

საზოგადოების აქტივების ღირებულების შემცირების ძირითადი მიზეზია საზოგადოების ძირითადი საშუალებების გაუფასურება, რომელიც განხორციელდა გაუფასურებაზე ჩატარებული ტესტირებს შედეგების მიხედვით, რომელიც განხორციელდა „ინტერ რაო“-ს სტრატეგიისა და ინვესტიციების ბლოკის მიერ ფასის შესაბამისად ინტერ რაო-ს ჯგუფის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების დროს 2013 წლის პირველი ნახევრისთვის, ძირითადი საშუალებების გაუფასურების საერთო ოდენობამ შეადგინა 64 270 ათასი ლარი.



ანალიტიკური კოეფიციენტები

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | 31.12.2012 | 31.12.2013 |
|-------------------------------------|------------|------------|
| აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 0.40 | 0.40 |
| სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 0.69 | 0.75 |
| მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 0.78 | 0.84 |

2013 წლის შედეგების მიხედვით, აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი არ შეცვლილა. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების შესაძლებლობა დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები იგივე დონეზე დარჩა. აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობის შენარჩუნება 2012 წლის დონეზე დაკავშირებულია პროპორციულ ცვლილებებთან, როგორც საანგარიშსწორებო ანგარიშებზე ფულადი სახსრების, ისე სასესხო რესურსების საჭიროების შემცირებით.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტმა, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგინა 0,75. აღნიშნული მნიშვნელობა რეკომენდებულ დიაპაზონზე მაღალია, რაც დაკავშირებულია საწარმოს ლიკვიდური აქტივების ზრდის ტემპის გადაჭარბებით მიმდინარე ვალდებულებების ზრდის ტემპზე.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 0,78-დან 0,84-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს შესაძლებლობების ზრდას და მისი გაანგარიშება ხორციელდება საკუთარი მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად.

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | 31.12.2012 | 31.12.2013 |
|---------------------------------|------------|------------|
| გაყიდვების რენტაბელობა | 18.4% | 22.5% |
| საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა | 20.0% | -43.7% |
| ერთობლივი აქტივების რენტაბელობა | 9.1% | -14.7% |

გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებლის გაზრდა დაკავშირებულია გაყიდვებიდან საზოგადოების მიერ მიღებული მოგების მაჩვენებლების ზრდასთან. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებლის და ერთობლივი აქტივების რენტაბელობის უარყოფითი მნიშვნელობა დაკავშირებულია 2013 წელს საზოგადოების წმინდა მოგების უარყოფით მნიშვნელობასთან 37 883 ათასი ლარის ოდენობით, რაც უმეტესად განპირობებულია საზოგადოების ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურებით.



საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | 31.12.2012 | 31.12.2013 |
|---------------------------------------|------------|------------|
| ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი | 0.43 | 0.38 |
| საკუთარი და სასესხო სახსრების ფარდობა | 1.31 | 1.64 |

2013 წლის განმავლობაში საკუთარი კაპიტალის წილი ბალანსის ვალუტაში (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) შემცირდა 0,43-დან 0,38-მდე.

საზოგადოების საკუთარი და სასესხო კაპიტალის ფარდობა გაიზარდა და შეადგინა 1,64 (სასესხო კაპიტალის ერთ ლარზე მოდის საკუთარი კაპიტალის ერთი ლარი და 64 თეთრი), რაც ნიშნავს საზოგადოების მდგრადობას.

მაჩვენებლები გაანგარიშებულია (ფასს-ის) სტანდარტების შესაბამისად ერთობლივი ანგარიშგების მონაცემების მიხედვით. 2013 წლის ბუღალტრული ანგარიშგება დამოწმებულია აუდიტორის - შპს EY Georgia-ს მიერ.

XII. საინვესტიციო საქმიანობა

საზოგადოების საინვესტიციო პოლიტიკა აგებულია ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპებიდან გამომდინარე. საზოგადოების საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი პერსპექტიული მიმართულებებია: კომერციული დანაკარგების შემცირება, ავარიულობის შემცირება, ელექტროქსელის საიმედოობის და უსაფრთხოების ამაღლება, საწარმოო სიმძლავრეების გაფართოება.

2013 წელს საზოგადოების საინვესტიციო დაბანდებებმა (ათვისებამ) შეადგინა 22 990 ათასი ლარი.

2013 წელს ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მიხედვით ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შეყვანამ შეადგინა 23 199 ათასი ლარი, გეგმიურ 15 328 ათას ლართან შედარებით.

პროექტების და სამუშაოების დაფინანსების წყარო 2013 წელს იყო საზოგადოების საკუთარი სახსრები. ქვემოთ მოცემულია ინვესტიციების დაფინანსების სტრუქტურა.

(ათასი ლარი)

| 1 | მუხლების დასახელება | გეგმა | ფაქტი | გადახრა | |
|-----|--------------------------|--------------|--------------|-------------|------------|
| | | | | (+/-) | % |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | საკუთარი წყაროები | 15328 | 22990 | 7 662 | 113 |
| | მათ შორის: | | | | |
| 1.1 | ამორტიზაცია | 15328 | 9 954 | (5 374) | (35) |
| 1.2 | გასული პერიოდების მოგება | 0 | 13 036 | 13 036 | 100 |
| | სულ | 15328 | 22990 | 7662 | 113 |



საინვესტიციო საქმიანობის მიზნები და ამოცანები 2014 წ.

საზოგადოებას დაგეგმილი აქვს შემდეგი საინვესტიციო პროექტების რეალიზაცია:

| | საინვესტიციო პროექტი | დაფინანსების სავარაუდო |
|------------|--|----------------------------|
| | | მოცულობები (ათასი ლარი) |
| | | 2014 |
| 1 | ტექნადარაღება და რეკონსტრუქცია | 10 384 |
| 2 | ახალი მშენებლობა და გაფართოება | 6 535 |
| 3 | სხვა ინვესტიციები კაპიტალური დაბანდების ფორმით | 1 875 |
| 4 | სხვა კაპიტალური ხასიათის სამუშაოები | 1 213 |
| სულ | | 20 007 |

*- მონაცემები მოცემულია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2013 წლის 26 სექტემბერს დამტკიცებული, ოქმი N106, საზოგადოების 2014-2018 წ.წ. საშუალოვადიანი საინვესტიციო პროგრამის შესაბამისად.

III. საქმიანობა შესყიდვების დარგში

საზოგადოების საქმიანობა შესყიდვების დარგში ხორციელდება შემდეგის საფუძველზე:

- დებულება სს „თელასის“ საჭიროებისათვის საქონლის, სამუშაოების, მომსახურების რეგლამენტირებული შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ;
- სს „თელასის“ შწკპ-ს ფორმირების, კორექტირების და კონტროლის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტი;
- სს „თელასის“ ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მუშაობის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალება, რომელიც განსაზღვრულია ჩასატარებელი შესყიდვების შესახებ ინფორმაციის განსათავსებლად, არის გაზეთი „24 საათი“.


ინტერნეტ-ტექნოლოგიები (ელექტრონული ვაჭრობა) შესყიდვების ჩატარების დროს საზოგადოებაში არ გამოიყენება.



2013 წლის რეგლამენტირებული შესყიდვების სტრუქტურა შესყიდვათა სახეობების მიხედვით

| | შესყიდვის საშუალება | შესყიდვების ჯამური ღირებულება (ათასი ლარი დღგ-ის გარეშე) | შესყიდვების რაოდენობა | % შესყიდვების საერთო თანხიდან |
|------------|----------------------|--|-----------------------|-------------------------------|
| 1 | ღია კონკურსი | 14 638 | 30 | 63.40 |
| 2 | ფასთა ღია გამოკითხვა | 3 351 | 100 | 14.52 |
| 3 | ერთადერთი წყარო | 5 099 | 52 | 22.08 |
| სულ | | 23 088 | 182 | 100 |

2013 წელს ჩატარდა 182 კონკურსი და რეგლამენტირებული არასაკონკურსო შესყიდვა. საანგარიშო პერიოდში სს „თელასის“ საჭიროებისათვის საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესყიდვაზე ფაქტობრივი დანახარჯების საერთო მოცულობამ შეადგინა 23,088 ათასი ლარი. მათ შორის 14,638 ათასი ლარი (ფაქტობრივი შესყიდვების საერთო მოცულობის 63,40%) შეადგინა დანახარჯებმა საკონკურსო შესყიდვებზე და 8,450 ათასი ლარი (ფაქტობრივი შესყიდვების საერთო მოცულობის 36,60%) შეადგინა დანახარჯებმა რეგლამენტირებულ არასაკონკურსო შესყიდვებზე.




2013 წლის რეგლამენტირებული შესყიდვების სტრუქტურა საქმიანობის სახეობების მიხედვით

| | საქმიანობის სახეობა | შესყიდვების ჯამური ღირებულება (ათასი ლარი დღგ-ის გარეშე) | შესყიდვების რაოდენობა | % შესყიდვების საერთო თანხიდან |
|---|----------------------------------|--|-----------------------|-------------------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | რემონტი | 3890 | 27 | 16.86 |
| 2 | ექსპლუატაცია | 243 | 1 | 1.05 |
| 3 | ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები | 1506 | 14 | 6.52 |
| 4 | დაცვა | 957 | 5 | 4.15 |
| 5 | სტ-შესყიდვები | 1599 | 21 | 6.92 |
| 6 | საკონსულტაციო და | 362 | 6 | 1.57 |



| | | | | |
|-------------|---|--------------|------------|------------|
| | საინფორმაციო მომსახურება | | | |
| 7 | აუდიტი და შეფასება | 59 | 2 | 0.25 |
| 8 | დაზღვევა | 2428 | 2 | 10.52 |
| 9 | ხარჯები პერსონალზე | 168 | 2 | 0.73 |
| 10 | რეკლამა და მარკეტინგი | 28 | 1 | 0.12 |
| 11 | სხვა შესყიდვები საოპერაციო საქმიანობის მიხედვით | 17 | 1 | 0.07 |
| 12 | ტექნადაიარაღება და რეკონსტრუქცია | 4714 | 28 | 20.42 |
| 13 | ახალი მშენებლობა და გაფართოება | 6695 | 67 | 28.99 |
| 14 | სხვა კაპიტალური ხასიათის სამუშაოები და მოწოდებები | 422 | 5 | 1.83 |
| სულ: | | 23088 | 182 | 100 |



XIV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

სს „თელასის“ საქმიანობის ძირითადი სახეობაა მოხმარებელთა ელექტროენერგიით მომარაგება და ქსელური მომსახურების გაწევა (ელექტროენერგიის გადაცემა) ქ. თბილისში. სავარაუდო რისკები, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე შემდეგია:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს ტარიფების დაუსაბუთებელი სახელმწიფო რეგულირების რისკი და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ის) მიერ ისეთი ტარიფების დამტკიცების შესაძლებლობასთან, რომლებიც არ დაფარავს საზოგადოების დანახარჯებს. კომპანიაში მიმდინარეობს გეგმიური მუშაობა სემეკ-თან მოცემული რისკის თავიდან ასაცილებლად.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყნისა და რეგიონალურ რისკებს მიეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. საანგარიშო პერიოდში ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში, რომელიც ზეგავლენას მოახდენდა სს „თელასის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, არ ჰქონია ადგილი. ბოლო წლებში ქ. თბილისის და მთლიანად სახელმწიფოს სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებით, საზოგადოება არ ექვემდებარება რაიმე მნიშვნელოვან ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს.

ქ. თბილისის ეკონომიკური განვითარება, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელობაზე, ძირითადად, დადებითია.

რეგიონში არ არსებობს შესაძლო სამხედრო კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის შემოღებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

რეგიონის გეოგრაფიულ თავისებურებებთან დაკავშირებული რისკები შეფასებულია, როგორც უმნიშვნელო, სტიქიური უბედურებების გაზრდილი საფრთხე არ არსებობს. ამ რისკების შესამცირებლად მიმდინარეობს ენერგეტიკული კომპლექსის მუდმივი შემოწმებები, ხორციელდება ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების შედეგებისაგან დაცვის ორგანიზება.

ფინანსური რისკები. საზოგადოება თავისი საქმიანობის პროცესში ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების ზეგავლენის, პროცენტული განაკვეთების ცვლილების, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ჩათვლით.

- ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს ქართული ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში გამოხატულ შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით. საზოგადოება არ ახორციელებს სავალუტო რისკისადმი კომპანიის დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:



| თვე | გეგმა | ფაქტი | თვე | გეგმა | ფაქტი |
|-----------|--------|--------|------------|--------|--------|
| იანვარი | 1.6400 | 1.6574 | ივლისი | 1.6300 | 1.6540 |
| თებერვალი | 1.6400 | 1.6537 | აგვისტო | 1.6300 | 1.6615 |
| მარტი | 1.6400 | 1.6577 | სექტემბერი | 1.6300 | 1.6644 |
| აპრილი | 1.6300 | 1.6508 | ოქტომბერი | 1.6200 | 1.6707 |
| მაისი | 1.6300 | 1.6411 | ნოემბერი | 1.6200 | 1.6920 |
| ივნისი | 1.6300 | 1.6509 | დეკემბერი | 1.6200 | 1.7363 |

- საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო პროცენტული განაკვეთის ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება განაკვეთის ცვლილების რისკს, გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის შედეგად.

- საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მომავალში საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევა ნაკლებად არის მოსალოდნელი.

- გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკი. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითადი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ ლიკვიდურობაზე, არის სს „თელასის“ მიერ გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე საკუთარი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნულ სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ცვლილება უახლოეს მომავალში ნაკლებად არის მოსალოდნელი.

მოსახლეობის გადახდისუნარიანობა. ბოლო წლებში წარმოების ზრდის ტენდენცია და უმუშევრობის დონის შემცირება დადებითად აისახა საერთო ფულადი მასის ზრდაზე.

საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები: საზოგადოების შემოსავალი ექვემდებარება სეზონურ მერყეობას (სეზონურად იცვლება სასარგებლო გაშვება). აღნიშნულის შედეგად არსებობს სალაროს მნიშვნელოვანი გარღვევების რისკი 1-ელ და მე-4 კვარტალში. საზოგადოება არ ახორციელებს სეზონური რისკების ჰეჯირებას.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიასთან (სემეკი) და ქ. თბილისის ადმინისტრაციასთან კონსტრუქციული ურთიერთობები, განვითარებული ელექტროქსელური ინფრასტრუქტურის არსებობა, ენერჯის სამომხმარებლო ბაზრის კარგი ცოდნა, საზოგადოების დადებითი საკრედიტო ისტორია, მაღალკვალიფიციური პერსონალის არსებობა, დანახარჯების მართვის გამოცდილება, საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების გამოცდილება საზოგადოებას საშუალებას აძლევს განახორციელოს საკუთარი საქმიანობა ელექტროენერგეტიკის მიმართ წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.



XV. ანგარიში საზოგადოების აქციების მიხედვით გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების მე-6 მუხლის მე-6.3 პუნქტის 3) ქვეპუნქტის შესაბამისად, აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

ბოლო სამი დასრულებული ფინანსური წლის განმავლობაში საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილებით დივიდენდების გადახდა არ განხორციელებულა.


იმასთან დაკავშირებით, რომ 2013 წელს წმინდა ზარალმა შეადგინა 37 883 ათასი ლარი, დივიდენდების გადახდა არ განხორციელდება.

VI. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

სს „თელასის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 112 429 418 ლარს და დაყოფილია 112 429 418 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ღირებულება 1 (ერთი) ლარი თითოეული აქცია. სააქციო კაპიტალის საერთო სტრუქტურა 2013 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგია:

| ფასიანი ქაღალდების კლასი | ბენეფიციარი-მესაკუთრის სახელი, გვარი და მისამართი | საკუთრებაში არსებული თანხა და საკუთრების ფლობის სახეობა | საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასების პროცენტული შემადგენლობა |
|--------------------------|--|---|--|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| ჩვეულებრივი აქცია | «Silk Road Holdings B.V.» – ნიდერლანდი | 84 443 957.00 აქცია საერთო თანხით 84 443 957.00 ლარი | 75.108 |
| ჩვეულებრივი აქცია | სს „საპარტნიორო ფონდი“ (საკუთრების უფლებით), „ენერჯეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო“ (მართვის უფლებით) - საქართველო | 27 577 837.00 აქცია საერთო თანხით 27 577 837.00 ლარი | 24.529 |
| ჩვეულებრივი აქცია | ფიზიკური პირები | 407 624.00 აქცია საერთო თანხით 407 624.00 ლარი | 0.363 |
| სულ | | 112 429 418 აქცია | 100 |





- "Silk Road Holdings B.V."
- სს "საპარტნიორო ფონდი"
- დანარჩენი აქციონერები

XVII. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს საზოგადოების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო კრების თანახმად საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ:

ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დაბადების წელი: 1969
 სამუშაო ადგილი: ღსს „ინტერ რაო“
 თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: ცენტრალურ აზიასა და ამიერკავკასიაში აქტივების მართვის ბლოკის ხელმძღვანელი
 მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
 სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 04.11.2003წ.
 საზოგადოების ჩვეულებრივი აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

ჭინჭარაული თემურ გრიგოლის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

დაბადების წელი: 1944
 სამუშაო ადგილი: სს „თელასი“
 თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გენერალური დირექტორის მრჩეველი
 მოქალაქეობა: საქართველო
 სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 15.12.1998წ.
 საზოგადოების ჩვეულებრივი აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

პახომოვი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1973
 სამუშაო ადგილი: ღსს „ინტერ რაო“
 თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გამგეობის წევრი - სამართლებრივი მუშაობის ბლოკის ხელმძღვანელი
 მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
 სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 28.06.2013



საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

პალუნინი დიმიტრი ნიკოლაის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1969

სამუშაო ადგილი: დსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გამგეობის წევრი - ფინანსურ-ეკონომიკური ცენტრის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 06.12.2011

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

ოკლეი პაველ ივანეს ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1970

სამუშაო ადგილი: დსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გამგეობის წევრი - საწარმოო საქმიანობის ბლოკის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 06.12.2011

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

მილორავა ირინა იურის ასული - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1975

სამუშაო ადგილი: ესკო

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: ესკო-ს გენერალური დირექტორი

მოქალაქეობა: საქართველო

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 06.12.2011

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

სს „თელასის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე 2013 წლის 26 დეკემბერს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ირინა მილორავას შეუწყდა უფლებამოსილება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულ იქნა ვახტანგ ჯორბენაძე.

ჯორბენაძე ვახტანგ სამსონის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1976

სამუშაო ადგილი: სს „საპარტნიორო ფონდი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სს „საპარტნიორო ფონდის“ იურისტი

მოქალაქეობა: საქართველო

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 26.12.2013

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭოს არჩევამდე სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში 2013 წლის განმავლობაში ასევე შედიოდნენ:



ბადენკოვი ანტონ იურის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დაბადების წელი: 1966

სამუშაო ადგილი: დსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გამგეობის თავმჯდომარის მრჩეველი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 06.12.2011

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

მიტიუშინი ვადიმ სერგეის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1973

სამუშაო ადგილი: დსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გეოგრაფიული დივიზიონის “სამხრეთ კავკასია და თურქეთი“ ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 06.12.2011

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

XVIII. 2013 წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის გადახდილი ანაზღაურების ოდენობა

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება განისაზღვრება სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურებისა და კომპენსაციების გადახდის შესახებ დებულების საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა აქციონერთა საერთო კრებაზე 2009 წლის 11 მარტს.

2013 წლის შედეგების მიხედვით ანაზღაურების ოდენობა შეადგენდა:

| | გვარი, სახელი, მამის სახელი | 2013 წელს გადახდილი ანაზღაურების ოდენობა (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1 | ბადენკოვი ანტონ იურის ძე - სს-ს თავმჯდომარე | 4 967 |
| 2 | ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე - სს-ს თავმჯდომარე | 6 361 |
| 3 | პახომოვი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე - სს-ს წევრი | 2 525 |
| 4 | მიტიუშინი ვადიმ სერგეის ძე - სს-ს წევრი | 1 866 |
| 5 | ოკლეი პაველ ივანეს ძე - სს-ს წევრი | 6 557 |
| 6 | პალუნინი დიმიტრი ნიკოლაის ძე - სს-ს წევრი | 6 558 |
| 7 | ჭინჭარაული თემურ გრიგოლის ძე - სს-ს თავმჯდომარის მოადგილე | 6 869 |
| 8 | მილორავა ირინა- სს-ს წევრი | 933 |
| | სულ: | 36 636 |



დებულება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურებისა და კომპენსაციების გადახდის შესახებ ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების გადახდას საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობისათვის, მისი ჩატარების ფორმის მიუხედავად, აგრეთვე დამატებით ანაზღაურებას აქციონერთა საერთო კრების მიერ ფინანსური წლის შედეგების მიხედვით დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

IX. საზოგადოების გენერალური დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს გენერალური დირექტორი. კოლევიალური აღმასრულებელი ორგანო არ არის გათვალისწინებული.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი 85, 2012 წლის 12 დეკემბერი) სს „თელასის“ გენერალურ დირექტორად არჩეულ იქნა დევი კანდელაკი.

კანდელაკი დევი ვაჟას ძე

დაბადების წელი: 1969

სამუშაო ადგილი: სს „თელასი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გენერალური დირექტორი

მოქალაქეობა: საქართველო

პირველად იქნა დამტკიცებულ ე.ა.ო-ს თანამდებობაზე: 13.12.2012

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი 94, 2013 წლის 28 მარტა) 2013 წლის 1 აპრილიდან სს „თელასის“ გენერალურ დირექტორად არჩეულ იქნა სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი.

კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე - გენერალური დირექტორი

დაბადების წელი: 1972

სამუშაო ადგილი: სს „თელასი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გენერალური დირექტორი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

პირველად იქნა დამტკიცებული ე.ა.ო-ს თანამდებობაზე: 01.04.2013

საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში პირის კუთვნილი წილი: 0%



X. საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემის დახასიათება

საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, მისი ცალკეული ქვედანაყოფების, საზოგადოების მართვის ორგანოების და საზოგადოების აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამდებობის პირთა რეგულარული კონტროლის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობასთან, საზოგადოების წესდებასა და შიდა დოკუმენტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

2013 წელს საზოგადოებაში შიდა კონტროლი ხორციელდებოდა საზოგადოების ეკონომიკური უსაფრთხოებისა და დაცვის სამმართველოს და შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ (2013 წლის ოქტომბერში შიდა აუდიტის დეპარტამენტი ლიკვიდირებული იქნა ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურთან მიერთების გზით ფუნქციებისა და ამოცანების შენარჩუნების საფუძველზე).

ეკონომიკური უსაფრთხოებისა და დაცვის სამმართველო ახორციელებს ყოველდღიურ შიდა კონტროლს, რაც მოიცავს:

- საწარმოს აქტივების დაცულობის კონტროლს;
- რესურსების რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის კონტროლს;
- მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პროცესის კონტროლს;
- წარმოების, პროდუქციის გაყიდვის პროცესის კონტროლს;
- საზოგადოების გარე და შიდა გარემოს მონიტორინგს, უსაფრთხოების მიმართ წარმოქმნილი საფრთხის გამოვლენის თვალსაზრისით;
- სხვა მიმართულებებს, საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

ამგვარად, შიდა კონტროლის სისტემა ფინანსური და ოპერაციული რისკების, აგრეთვე თანამდებობის პირთა მიერ უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ოპერატიული გამოვლენის, აღკვეთის და შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

შიდა კონტროლი ხელს უწყობს საზოგადოების ხარჯების გეგმაზომიერ შემცირებას და მისი რესურსების ეფექტურ მართვას.



XXI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები საანგარიშო პერიოდში იყო მართვის სისტემის ეფექტურობის ამაღლება, გარდა ამისა, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, მუშაკთა შრომის დაცვის საკითხები.

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა წარმოადგენს საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს, მიმართულია საზოგადოების წინაშე დასახული ძირითადი მიზნების მიღწევასა და მის წინაშე წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტაზე და ხორციელდება შემდეგის საშუალებით:

- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების და სწავლების მომზადების ორგანიზება;
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;
- სოციალური პარტნიორობის განვითარება;
- შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის ნორმების დაცვა და კოლექტიური ხელშეკრულების დებულებების შესრულება.


სს „თელასის“ მუშაკთა რაოდენობა, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა 2076 ადამიანს. 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, პერსონალის რიცხოვნობა შემცირდა 8%, საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად. 2013 წელს საზოგადოებაში დაითხოვეს 223 ადამიანი, სამუშაოდ მიღებული იქნა 51 ადამიანი.

მუშაკთა სტრუქტურა კატეგორიების მიხედვით

(ადამიანი)


| წელი | ხელმძღვანელები | სპეციალისტები | მოსამსახურეები | მუშები | სულ |
|-----------|----------------|---------------|----------------|--------|-------------|
| 2012 წელი | 250 | 438 | 377 | 1183 | 2248 |
| 2013 წელი | 205 | 444 | 338 | 1089 | 2076 |





პერსონალის სტრუქტურა ასაკის მიხედვით

სს „თელასის“ ასაკობრივი დონე, 31.12.2013 წ. მდგომარეობით შეადგენს: 25 წლამდე-35 ად., 25-დან 40 წლამდე – 506 ად., 41-დან 50 წლამდე – 642 ად., 51-დან 65 წლამდე – 787 ად., ხოლო 65 წელს ზემოთ – 106 ად.




მუშაკთა ხარისხობრივი შემადგენლობა

სს „თელასის“ მუშაკთა ხარისხობრივი შემადგენლობა, 31.12.2013 წ. მდგომარეობით, შემდეგნაირია: უმაღლესი განათლების მქონე მუშაკები – 1378 ად.,



საშუალო-სპეციალური განათლებით – 297 ად., ხოლო საშუალო განათლებით - 401 ად.



პერსონალის სწავლება და განვითარება

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია საზოგადოების მუშაკთა უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მოიცავს პერსონალის მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე მუშაკთა შრომის დაცვის საკითხებს.

პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკების მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებების შესაბამისად, უნარების განვითარებაზე კონკრეტული საწარმოო სიტუაციების გადასაჭრელად და ქცევის გამოცდილების გამოსამუშავებლად პროფესიონალურად მნიშვნელოვან სიტუაციებში. მოცემული პროგრამის ძირითადი მიზანია მუშაკების მომზადება უფრო რთული საწარმოო ფუნქციების, მოვალეობების შესასრულებლად, ახალი თანამდებობების დასაკავებლად, მუშაკის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებსა და რეალური სპეციალისტების ან მენეჯერის თვისებებს შორის განსხვავების დასაძლევად (პროფესიული განვითარება).

2013 წელს საზოგადოების პერსონალის მომზადების, პროფესიული გადამზადების, საკადრო რეზერვის სწავლების პროგრამის საფუძველზე, მუშაკებმა გაიარეს სწავლება შემდეგი მიმართულებების შესაბამისად:

- საზოგადოების მართვის სრულყოფა,
- საზოგადოების სამართლებრივი უზრუნველყოფა,
- საზოგადოების საქმიანობის ეკონომიკური საკითხები,
- ფინანსური საკითხები,
- ბუღალტრული აღრიცხვა და დაბეგვრა,
- საწარმოო საკითხები,
- საინფორმაციო ტექნოლოგიები,
- პერსონალის მართვა.

2013 წლის განმავლობაში სს „თელასში“ სწავლება და გადამზადება გაიარა 439 ადამიანი. მათ შორის სწავლება გაიარეს:



- სხვადასხვა დონის ხელმძღვანელებმა - 30 ადამიანი;
- სპეციალისტებმა – 51 ადამიანი,
- საწარმო-ტექნიკურმა პერსონალმა - 358 ადამიანი.

საწარმო პერსონალი მთლიანად დაკომპლექტებულია კვალიფიცირებული კადრებით. პერსონალის სწავლება მიმდინარეობს საქართველოს სასწავლო ცენტრებსა და საკუთარ სასწავლო კაბინეტში.

საზოგადოების მუშაკთა წილმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სწავლების სხვადასხვა პროგრამებში, შეადგინა პერსონალის საერთო რიცხვის 20,0 %. ამრიგად, 2013 წლის განმავლობაში სწავლება და გადამზადება გაიარა ყოველმა მეხუთე მუშაკმა.

სოციალური პოლიტიკა

სს „თელასში“ სოციალური პარტნიორობა დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის ხორციელდება კოლექტიური შეთანხმების ფორმატში, რომელიც დადებულია საქართველოს მომსახურების სფეროს და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირსა და სს „თელასის“ ადმინისტრაციას შორის.

კოლექტიური შეთანხმება უზრუნველყოფს საზოგადოების მუშაკთა სოციალურ დაცვას, ეკონომიკურ უფლებებსა და ინტერესებს, მუშაკთა ცხოვრების საკმარისი დონის შენარჩუნებას და საზოგადოების ეფექტურ მუშაობას.

სოციალური გადახდები 2013 წელს კოლექტიური შეთანხმების შესაბამისად

| 1 | შელავათების სახეობები | გადახდების ჯამი (ათასი ლარი) | |
|---|---|------------------------------|-------------|
| | | 2012 წელი | 2013 წელი |
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | თანამშრომლების მატერიალური დახმარება რიტუალურ მომსახურებაზე | 123 | 94 |
| 2 | სატრანსპორტო ხარჯებისა და თანამშრომელთა მომსახურების კომპენსაცია | 556 | 531 |
| 3 | ერთდროული გადახდები საიუბილეო თარიღებთან (50, 60 და 70 წელი) და საზოგადოებაში მუშაობის სტაჟთან დაკავშირებით | 154 | 552 |
| 4 | თანამშრომელთა შელავათები ელექტროენერგიაზე | 584 | 454 |
| 5 | თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა | - | 701 |
| 6 | ხარჯები თანამშრომელთა კვებაზე | - | 180 |
| | სულ | 1 417 | 1631 |

XXII. გარემოს დაცვა

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სს „თელასი“ არ მიეკუთვნება ისეთი საწარმოების რიცხვს, რომელთა საქმიანობას შეუძლია ზიანი მიაყენოს გარემოს. აღნიშნულის გამო 2013 წლის განმავლობაში არ ყოფილა დაგეგმილი და, შესაბამისად, არ განხორციელებული ბუნების დაცვის და ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებები.



ამჟამად, საქართველოში გამკაცრებულია კანონმდებლობა ბუნების დაცვის სფეროში და სახელმწიფო ორგანოთა პოზიცია მისი დაცვის თვალსაზრისით. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, შეფასება, ამჟამად, საკმარისი სიზუსტით შეუძლებელია, მაგრამ აღნიშნული შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი ვალდებულებების გადაფასებას გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

XXIII. ცნობები გარიგებების შესახებ, რომელთა დადებაში არსებობს დაინტერესება და საანგარიშო წელს საზოგადოების მიერ განხორციელებული მსხვილი გარიგებების შესახებ

2013 წელს საზოგადოებამ დადო შემდეგი გარიგებები, რომლებშიც არსებობდა დაინტერესება:

- შეთანხმება თავდებობისათვის გადახდის ანაზღაურების შესახებ ღსს „ინტერ რაო“-სა და სს „თელასს“ შორის 4-1, 30.07.2013წ.

აღნიშნული გარიგება დაიდო შემდეგი არსებითი პირობებით:

- 1.1. შეთანხმების მხარეები: ღსს „ინტერ რაო“ – „თავდები“, სს „თელასი“ – „მოვალე“.
- 1.2. შეთანხმების საგანი: „თავდები“ კისრულობს ვალდებულებას, „მოვალის“ მიერ გადასახდელი ანაზღაურების სანაცვლოდ, წარმოადგინოს „მოვალეს“ და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს“ და/ან ზემოაღნიშნული პირის რეგისტრაციის ქვეყნის შესაბამისად აღნიშნულთან მიმართებით აფილირებულ პირებად აღიარებულ იურიდიულ პირებს შორის 15.12.2010 წლის #41162 საკრედიტო ხელშეკრულების (შემდგომში - „საკრედიტო ხელშეკრულება“) თანახმად მოვალის მიერ ვალდებულებების შესრულების თავდებობა 25 000 000,00 (ოცდახუთი) მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საერთო ზღვრულ თანხაზე, „საკრედიტო ხელშეკრულების“ მოქმედების ვადით, მის თანახმად განსაზღვრული ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.
- 1.3. შეთანხმების ვადა: შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან, მხარეთა ურთიერთობების მიმართ გამოიყენება 01.01.2013 წლიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.



1.4. ფასი შეთანხმების თანახმად:

სს „თელასს“ და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს“ შორის დადებული „საკრედიტო ხელშეკრულებით“ განსაზღვრული, თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულების თანხის არაუმეტეს წლიური 0.5 პროცენტი (18 (თვრამეტი) პროცენტი დღგ-ს ჩათვლით), „მოვალის“ მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად წარმოქმნილი პირგასამტეხლოების თანხების გარდა.

„ფასიანი ქაღალდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლის თანახმად, აღნიშნული გარიგება წარმოადგენს გარიგებას, რომლის განხორციელებაში დანტერესებას ადგილი აქვს შემდეგ საფუძვლებზე:

- დიმიტრი პალუნინი, ალექსანდრე პახომოვი და პაველ ოკლეი არიან ღსს „ინტერ რაო ეეს“-ის გამგეობის და სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები;
- ღსს „ინტერ რაო ეეს“-ი არის სს „თელასის“ ხმების საერთო რაოდენობის 20 პროცენტზე მეტი ოდენობის არაპირდაპირი მფლობელი.

აღნიშნული გარიგება მოწონებულ იქნა სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (22.07.2013 წლის ოქმი #102).

• სს „თელასს“ და შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ შორის 27.12.2013 წლის შეთანხმება მოთხოვნების ურთიერთჩათვლის გზით ვალდებულებების შეწყვეტის შესახებ.

აღნიშნული გარიგება დაიდო შემდეგ არსებით პირობებზე:

1. „შეთანხმებით“, მხარეები აღიარებენ და ადასტურებენ, რომ:
 - a. სს „თელასს“ შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ მიმართ აქვს მოთხოვნის უფლება, რომელიც გამომდინარეობს აქციების შეძენის შესახებ 2012 წლის 15 ივნისის ხელშეკრულებიდან (შემდგომში - „**აქციების შეძენის ხელშეკრულება**“), რომელიც დადებულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ საქართველოს სახელმწიფოსთან, რომლის თანახმად საქართველოს სახელმწიფომ, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის #1086 განკარგულების საფუძველზე, გადასცა სს „თელასს“ ქვემოაღნიშნული ხელშეკრულებებით განსაზღვრული მოთხოვნის ყველა უფლება (შემდგომში - „**ინსტიტუციონალური ვალები**“):
 - 1) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ საქართველოს სახელმწიფოს, სს „თბილსრესს“ და შპს „ეიეს გარდაბანს“ შორის 2000 წლის 4 თებერვლის ხელშეკრულება გარდაბნის თბოელექტროსადგურის აღდგენასთან მიმართებით ვალის საკუთარ თავზე აღების შესახებ 36 000 000 აშშ დოლარის ოდენობის ძირითად თანხაზე;



- 2) საქართველოს ეროვნულ ბანკს, შპს „ეიეს გარდაბანს“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს საწვავისა და ენერჯეტიკის სამინისტროს შორის 2000 წლის 22 მარტის ხელშეკრულება გარდაბნის თბოელექტროსადგურის აღდგენასთან მიმართებით ვალის დაფარვის შესახებ 59 378 832,66 გერმანული მარკის ოდენობის ძირითად თანხაზე;
 - 3) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ საქართველოს სახელმწიფოს და შპს „ეიეს გარდაბანს“ შორის 2000 წლის 18 თებერვლის ხელშეკრულება გარდაბნის თბოელექტროსადგურის აღდგენასთან მიმართებით ვალის დაფარვის შესახებ 14 400 000 აშშ დოლარის ოდენობის ძირითად თანხაზე.
- ამასთანავე, გადაცემული „ინსტიტუციონალური ვალების“ სამართლიანმა ღირებულებამ „შემენის ხელშეკრულების“ თანახმად, გარიგების დადების თარიღისათვის, შეადგინა 7 673 054 (შვიდი მილიონ ექვსას სამოცდაცამეტი ათას ორმოცდათოთხმეტი) ლარი.
2. შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ სს „თელასის“ მიმართ აქვს მოთხოვნის უფლება, რომელიც გამომდინარეობს ელექტროენერჯის მიწოდების შესახებ 2000 წლის 20 თებერვლის და 20.09.2012 წლის #1/857-00 ხელშეკრულებებიდან (შემდგომში - „სავაჭრო დავალიანება“).
 3. მხარეები შეთანხმდნენ მასზე, რომ შეთანხმების დადების თარიღისათვის:
 - a. „ინსტიტუციონალური ვალების“ სამართლიანი საბაზრო ღირებულება განსაზღვრულ იქნება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, 2013 წლის 16 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით:
 - i. დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნის საფუძველზე, 2013 წლის 1 ოქტომბრისთვის არსებული მდგომარეობით, რაც, პროცენტების გათვალისწინებით, შეადგენს 7 943 274 (შვიდი მილიონ ცხრას ორმოცდასამი ათას ორას სამოცდათოთხმეტი) ლარს;
 - ii. დამოუკიდებელი შემფასებლის მირ შესრულებული გადაფასების ზემოქმედების გათვალისწინებით, 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 16 დეკემბრამდე პერიოდთან მიმართებით.
 - b. მოთხოვნების მოკლევადიანობის გათვალისწინებით, „სავაჭრო დავალიანების“ სამართლიანი საბაზრო ღირებულება განსაზღვრულ იქნება, როგორც კომპანიის ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე „სავაჭრო დავალიანების“ ფაქტიური ოდენობის ტოლი, და დადასტურებულ იქნება შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ და სს „თელასს“ შორის ურთიერთანგარიშსწორების შედარების აქტებით 2013 წლის 16 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით;
 4. „შეთანხმების“ ხელმოწერის შემდეგ მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება „შეთანხმების“ არსებითი პირობების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული გადახდის ვალდებულებების (2013 წლის 16 დეკემბრიდან) მთლიანად და „შეთანხმების“ არსებითი პირობების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული გადახდის ვალდებულებების ნაწილობრივად შეწყვეტის შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის საფუძველზე მათი ურთიერთჩათვლის გზით.
 5. ამასთანავე, მხარეები ადასტურებენ, რომ ურთიერთჩათვლის შედეგად, შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ ექნება სს „თელასისადმი“ მოთხოვნის უფლება



„სავაჭრო დავალიანებასთან“ მიმართებით დარჩენილ თანხაზე, რომელიც განსაზღვრულ იქნება, როგორც სხვაობა შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ და სს „თელასს“ შორის ურთიერთანგარიშსწორების შედარების ხელმოწერილი აქტით დადასტურებულ და 2013 წლის 16 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით კომპანიის ბუღალტრული ანგარიშგების საფუძველზე განსაზღვრულ თანხას, და 2013 წლის 16 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ „ინსტიტუციონალური ვალების“ განსაზღვრული სამართლიანი საბაზრო ღირებულების თანხას შორის.

6. „შეთანხმება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.
7. „შეთანხმება“ შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე, 2 დედან ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი - ყოველი მხარესთვის.
8. „შეთანხმება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„ფასიანი ქაღალდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლის თანახმად, აღნიშნული გარიგება სს „თელასისათვის“ წარმოადგენს გარიგებას, რომლის განხორციელებაში დაინტერესებას ადგილი აქვს შემდეგ საფუძველზე:

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დმიტრი ვოლკოვი მიჩნეულია სს „თელასის“ მიერ გარიგების განხორციელებაში დაინტერესებულ პირად, რადგან ერთდროულად არის სს „თელასის“ და გარიგების მონაწილე შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

აღნიშნული გარიგება მოწონებული იქნა სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი 110, 23.12.2013წ.).

2013 წელს საზოგადოებას მსხვილი გარიგებები არ დაუდია.

XXIV. ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ

ცხრილში მოცემულია მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს საზოგადოების წმინდა აქტივების და საწესდებო კაპიტალის ღირებულების ცვლილების დინამიკას 2010-2012 წლებში, საანგარიშო 2013 წლის ჩათვლით.

| | <i>ათასი ლარი</i> | | | |
|--------------------|-------------------|-------|---------|---------|
| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 |
| საწესდებო კაპიტალი | 81 148 | 81148 | 112 429 | 112 429 |
| წმინდა აქტივები | 12 447 | 42566 | 124 552 | 86 669 |

საზოგადოების წმინდა აქტივებთან მიმართებით 2010-2011 წლებში საწესდებო კაპიტალის მეტობის მიზეზია საზოგადოებისათვის კომპანია Silk Road Holdings B.V.-ის მიერ გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტები. 2013 წელს საწესდებო კაპიტალის მეტობა წმინდა აქტივებთან მიმართებით განპირობებულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურებით 2013 წლის 6 თვის განმავლობაში 64 270 ათასი ლარის ოდენობით.

საზოგადოება ყველა ზომას მიმართავს საზოგადოების წმინდა აქტივების ღირებულების მოსაყვანად მისი საწესდებო კაპიტალის სიდიდესთან, მოგების გაზრდის ხარჯზე.



XXV. ანგარიში 2013 წელს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დავალებათა შესრულების შესახებ

| საკითხის ფორმულირება | სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება | ინფორმაცია გადაწყვეტილების შესრულების შესახებ |
|--|--|---|
| ოქმი 88, 16 იანვარი 2013 წელი (დაუსწრებელი კენჭისყრა) | | |
| საკითხი 3. საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის შესახებ: სს „თელასის“ ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის შენეშვა, დანერგვა და სერტიფიკაცია, ISO 14001:2004 შესაბამისად. | <p>1. განისაზღვროს, რომ ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის შემუშავება, დანერგვა და სერტიფიკაცია ISO 14001:2004 შესაბამისად საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა.</p> <p>2. სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს დაევალოს:</p> <p>2.1. 31.12.2014 წ-მდე ვადაში შეიმუშაოს და საზოგადოებაში დანერგოს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემა ISO 14001:2004 შესაბამისად;</p> <p>2.2. 31.12.2015 წ.-მდე ვადაში უზრუნველყოს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკაცია ISO 14001:2004-სთან შესაბამისობაზე.</p> | ვადა არ დამდგარა |
| ოქმი 92, 06 მარტი 2013 წელი (დაუსწრებელი კენჭისყრა) | | |
| საკითხი 5. საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ საზოგადოების აქციონერების შეტყობინების წესის განსაზღვრა. | 3. სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს (დ.ვ. კანდელაკს) დაევალოს სს „თელასის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნება წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად. | შესრულებულა |
| ოქმი 93, 14 მარტი 2013 წელი (დაუსწრებელი კენჭისყრა) | | |
| საკითხი 1. საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის შესახებ: საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადების და ჩატარების გრაფიკის დამტკიცება. | <p>1. საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარებისათვის მომზადება მიჩნეულ იქნას საზოგადოების საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.</p> <p>2. დამტკიცდეს 2012 წლების შედეგების მიხედვით საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადებისა და ჩატარების გრაფიკი დანართის 1 თანახმად.</p> <p>3. საზოგადოების გენერალურ დირექტორს დაევალოს 2012 წლის შედეგების მიხედვით საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადებისა და ჩატარების გრაფიკით დადგენილ ვადებში კრების მოწვევისა და ჩატარების უზრუნველყოფა.</p> | შესრულებულა |
| ოქმი 98, 27 მაისი 2013 წელი (დაუსწრებელი კენჭისყრა) | | |
| საკითხი 5. საზოგადოების აქციონერებისათვის საზო- | 1. დამტკიცდეს სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების შესახებ | შესრულებულა |



| | | |
|--|---|--------------------------|
| <p>გადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების შეტყობინების წესის განსაზღვრა.</p> | <p>შეტყობინების ფორმა და ტექსტი დანართის 1 თანახმად.</p> <p>2. განისაზღვროს, რომ სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებას საზოგადოება აქვეყნებს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, ასევე განათავსებს საზოგადოების ვებ-საიტზე ინტერნეტის ქსელში არა უგვიანეს 2013 წლის 07 ივნისის.</p> <p>3. დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს (ს.ნ. კობცევს) უზრუნველყოს სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნება წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად.</p> | |
| <p>ოქმი 102, 22 ივლისი 2013 წელი (დაუსწრებელი კენჭისყრა)</p> | | |
| <p>საკითხი 2: თავდებობისათვის გადასახადის ანაზღაურების შესახებ ღსს „ინტერ რაო“-სა და სს „თელასს“ შორის შეთანხმების მოწონება გარიგების სახით, რომელშიც არსებობს დაინტერესება.</p> | <p>2. სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს დაევალოს ღსს „ინტერ რაო“-ს (ღსს „ინტერ რაო“-ს კორპორაციული და ქონებრივი ურთიერთობების ბლოკის კორპორაციული და ქონებრივი ურთიერთობების დეპარტამენტი) ინფორმირება თავდებობისათვის გადახდის ანაზღაურების შესახებ შეთანხმების შესახებ მისი დადების დღეს არა უგვიანეს 17:00.</p> | <p>შესრულებულ ია</p> |



XXVI. დამატებითი ინფორმაცია აქციონერთათვის

სს „თელასის“ იურიდიული მისამართი:

სს „თელასი“, 0154, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო

სს „თელასის“ საფოსტო მისამართი:

სს „თელასი“, 0154, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

E-mail: inform@telasi.ge

მისამართი ინტერნეტის ქსელში:

<http://www.telasi.ge>

საკონტაქტო პირები:

მილაშვილი

მაგდალინა

გენერალური დირექტორის

შოთას ას.

თანაშემწე

E-mail: lina.milashvili@telasi.ge

ტელ: +995 32 277-99-99

ს/კ:202052580

ს/ანგარიში: სს “თიბისი ბანკი” TBCBGE22,

ს/ა GE11 TB11 000 000 174 675 64

აქციონერებს ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ შემდეგ პირებს:

ნიჟარაძე *მთავარი სპეციალისტი*

ირინა კორპორაციული ურთიერთობების სამსახური

ჩენკას ას (აქციონერებთან მუშაობა)

E-mail: irina.nizharadze@telasi.ge

ტელ: +995 32 277-99-99

ქათამაძე *ხელმძღვანელი*

დავით განვითარებისა და ინვესტიციების სამსახური

სერგოს ძე (ინვესტორებთან მუშაობა)

EMail: david.katamadze@telasi.ge

ტელ: +995 32 277-99-99



საზოგადოების რეესტრის მწარმოებელი

საზოგადოების ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრის მწარმოებელია სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ - ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი, ლიცენზია 70-0006 გაცემულია 2000 წლის 26 იანვრს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ. ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება ხორციელდება 2012 წლის 1 აგვისტოს სრ-248 ხელშეკრულების თანახმად.

მისამართი: საქართველო, 0162, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 74ა.(მოსაშვილის 11)

ტელ.: (99532) 22-53-51, 25-15-60

ფაქსი: (8832) 25-15-60

საზოგადოების აუდიტორი

საზოგადოების აუდიტორია კომპანია **Ernst&Young LLC**. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის 96 დადგენილების თანახმად კომპანიას მიეცა აუდიტორული მომსახურების გაწევს უფლება.

აუდიტორული მომსახურების გაწევა ხორციელდებოდა 2013 წლის 15 აგვისტოს JSCTelasi/Audit/2013 ხელშეკრულების შესაბამისად.

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0105, კოტე აფხაზის ქ. 44

ტელ.: (99532) 215 88 11

ფაქსი: (99532) 215 88 22

